
რუსთაველის პროსპექტი №52

“საქნახშირის” ადმინისტრაციული სახლი

(წინასაპროექტო არქიტექტურული კვლევა)

“საქნახშირის” ადმინისტრაციული შენობა (დღეს აქ მეცნიერებათა აკადემია და სხვა დაწესებულებებია განთავსებული) 1953 წელს აშენდა არქიტექტორების მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტით. ის ქალაქის ცენტრის უმნიშვნელოვანეს კვანძზე რუსთაველის პროსპექტით, ძმები კაკაბაძეების და ე. გაბაშვილის ქუჩებით მოსაზღვრული ტერიტორია უჭირავს. პროექტის განხორციელებანდე გამოცხადდა კონკურსი, რომელიც რუსთაველის მოედნის არქიტექტურული სახის მოწესრიგებასაც ითვალისწინებდა და რომელშიც წამყვანი ქართველი არქიტექტორები მონაწილეობდნენ. კონკურსში გამარჯვებული, მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტის განხორციელებით დაიწყო რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია.



1910-იანი წლები. ხედი გოლოვინის პროსპექტზე.

“საქნახშირის” ადმინისტრაციული შენობის მთავარი ფასადების კომპოზიციაში წამყვან არქიტექტურულ თემად გრძივი თაღედი და კოშკურა კონსტრუქციაა გამოყენებული - ხუთსართულიანი ჰორიზონტალური მოცულობის პირველი სართული თაღნარიან გალერეას უჭირავს. მოედნისკენ კი, შენობა 55 მეტრიანი კოშკით მთავრდება, რომლის დომინანტური ვერტიკალური ქალაქის არაერთი წერტილიდან იპყრობს ყურადღებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს

რუსთაველის მოედნის არქიტექტურული კომპოზიციის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული კოშკურა მოცულობით არის გაერთიანებული შენობის ორი ფრთა - პროსპექტზე და მოედანზე გამავალი.



რუსთაველის პროსპექტი №52

რუსთაველის გამზირზე გამავალი ფასადის კომპოზიცია არქიტექტურული მასების ურთიერთწონასწორობაზეა აგებული. ძირითადი მასის ჰორიზონტალური გადაწყვეტა წონასწორდება ერთი მხრივ კოშკის, მეორე მხრივ კი კიდურა რიზალიტის ვერტიკალური აქცენტებით. ამასთან, კოშკი და რიზალიტი ერთ მთელად კრავენ ფასადის ფრონტალურ კომპოზიციას. პირველი სართულის თაღედის პროპორციები და შეისრული ფორმა მეტ გამომსახველობას ანიჭებს მას. ზედა სართულების კედლის სიბრტყე დანაწევრებულია ღიობებით – მესამე სართულზე მომრგვალებულთაღიანი აივნებითა და ფესტონებიან საპირეებში ჩასმული კარების რიტმით. ფასადი დასრულებულია რთული, აჟურული პარაპეტით დაგვირგვინებული კარნიზით.

შენობის გაფორმებაში ეროვნული არქიტექტურიდან ნასესხები მოტივებია გამოყენებული, რომელთაც მხოლოდ დეკორაციული ფუნქცია აქვს. ზოგ მონაკვეთში გამოყენებული ზესმეტად დეკორატიული დეტალები ამძიმებს კიდეც კედლის სიბრტყეს და ამოვარდნილია საერთო არქიტექტურული გადაწყვეტიდან.

ამ ფასდისა და მთელი შენობის არქიტექტურულ კომპოზიციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰორიზონტალზე გაჭიმული ქვედა რეესტრის ღია მრავალმალიან თაღედს: იგი სივრცობრივ გასასვლელს ქმნის და ქუჩას შიდა ეზოს სივრცესთან აკავშირებს. თაღედს მთელ სიგრძეზე გასდევს კიბეები, რომელიც, გარდა წმინდა ფუნქციური მნიშვნელობისა, პირველი სართულის დანაწევრებასაც ემსახურება. ჰორიზონტალურად გაშლილი მთავარი ფასადი კარგად პასუხობს პროსპექტის დინებას.



რუსთაველის პროსპექტი №52. გვერდის ფასადი.

პროსპექტის დინების გათვალისწინებით, მთელ კორპუსთან მიმართებაში, 10^{o}-იანი კუთხით არის მობრუნებული მოედნის კუთხესთან აღმართული კოშკი – კოშკს მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი უჭირავს. მას მოედნის

საერთო პანორამაში დომინანტური ადგილი აქვს მიკუთვნებული და, აქედან გამომდინარე, მთავარი ყურადღება სწორედ მისი დანაწევრების ურთიერთშეფარდებას ექცევა.

კოშკი ქვევიდან ზევით თანდათან მსუბუქდება – მისი მასივი დიდი ზომის ღიობებით არის დანაწევრებული. მასიურ კედელს კონტრასტულად გამოეყოფა ღია მსუბუქი თაღნარი. კოშკის ზედა, თაღედიანი ნაწილი ძლიერად შვერილი სართყელით არის გამოყოფილი. მას საფეხურებიანი სადა დეკორირებული კარნიზი ასრულებს. მის თავზე კი შპილით დაგვირგვინებული მაღალი წახნაგოვანი ბელვედერია. კოშკი უკეთ უკავშირდება მოედნის მხარეს გამომავალ ფასადს, რომლის მაღალი და ფართო ღიობების მასშტაბი კარგად ეფარდება კოშკის დანაწევრებას - გვერდის ფასადის რიზალიტის კომპოზიცია და დეკორაციული დამუშავების თემა იმეორეს კოშკის მოედნისკენა ფასადის ელემენტებს, იმ განსხვავებით, რომ აქ რეგისტრები გადანაცვლებულია – თუ, მაგალითად, ქვის დეკორატიულმოაჯირიანი აივანი კოშკს მეორე სართულზე აქვს, რიზალიტზე ის ერთი რეგისტრით მაღლა, მესამე სართულზეა მოწყობილი და უფრო გამარტივებულია. გვერდის ფასადი მკაცრად სიმეტრიულია – კოშკსა და რიზალიტს შირის მოქცეული კედლის სიბრტყე დანაწევრებულია ოთხი სართულის სიმაღლის ცენტრალური სამი თაღით და მის აქეთ იქით განაწილებული თაღოვანი და სწორკუთხა ღიობებით. ზედა სართულს ფრიზივით გასდევს თაღოვანი მომცრო ფანჯრების მწკრივი. გვერდის ფასადი სადად პროფილირებული კარნიზით ბოლოვდება. კოშკის ნაწილი მსხვილად რუსტირებულ ცოკოლზეა დაფუძნებული, როელიც რუსთაველის მოედნის ფასადს ბოლომდე გასდევს.

შენობა ბოლნისის მოოქროსფრო ტუფით არის მოპირკეთებული. ცოკოლისა და თაღედის მზიდი ბურჯების მოსაპირკეთებლად კი, მუქი ნაცრისფერი გრანიტია გამოყენებული, რაც მყარ ფერადოვან საფუძველს უქმნის შენობის კორპუსს. რუხი გრანიტი მკაფიოდ გამოიყოფა შენობის ერთიან მოოქროსფრო ფონზე.

შენობაში მთავარი შესასვლელი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან არის მოწყობილი, თუმცა ცალკეულ სივრცეში შესასვლელები არის გვერდის

ფასადის მხრიდანაც. ბოლო წლებში პირველი სართულის დიდი თაღოვანი ღიობები კარად გადააკეთეს.

დასკვნა და რეკომენდაციები

კომერციული საქმიანობის გააქტიურენამ ქალაქის ამ ნაწილის გამოცოცხლება გამოიწვია, რამაც პირველი სართულების ათვისება და მათი ახალი ფუნქციის შესაბამისად ადაპტირება განაპირობა.



რუსთაველის პროსპექტი №52. საპროექტო სეგმენტი.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთი სეგმენტის კომერციული საქმიანობისთვის გამოყენება - თაღოვანი ღიობის კარად გადაკეთება და მის მიმდებარედ არსებული კიბის ბაქანის დაგრძელება, საიდანაც შიდა სივრცეში მოხვედრა პირდაპირ ქუჩიდან გახდება შესაძლებელი.

ამგვარი ჩარევა დასაშვებია - მოუხედავად იმისა, რომ სიგრძეში გაზრდილი კიბის ბაქანი რუსტირებული ცოკოლის ნაწილს დაფარავს, ეს არ გამოიწვევს შენობის არქიტექტურული და მხატვრული მახასიათებლების ხელყოფას.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნდეს არსებული ღიობის ჩარჩო, რომელიც შენობის თანადროულია. მას ან რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს, ან ახალი ჩარჩო შესრულდეს მისი ანალოგიით.

სამომავლოდ სასურველია შენობის პირველი სართულის საფასადო სახე ერთიანი დიზაინით მოწესრიგდეს.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჯანბერიძე – ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბილისი 1971წ.
2. Архитектура Советской Грузии, Москва, 1986;
3. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Москва, 1985.